საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია · დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი ივნისის 17 1921 წ.

ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მ ა ჩ ა ი ძ ე

ამზადებს

საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:

მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებლში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.

მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081

დამწუხრებული მშობლები ანდრო და ფილოსოფია გაბუნიები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას ივნისის 20-ს დილის 12 საათზე გადახდილი იქნება უდროოდ დაკარგულ

ნინას

წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში. 1042

ღრმად დამწუხრებულნი, მეუღლე ანნა ათანასი ბრიტანჩუკის ასული აბაშიძისა. მშობლები ალექსანდრე ზურაბისძე და ანნა ძმები ლადო ოჯახობით, და ნოე და მარუსა აბაშიძეები, გაზრდილი ნინო საყრელიძისა, სიძეები: ვოსე ხიტირია და მეუღლე მისი ბარბალე შვილებით, ნიკოლოზ დევდარიანი და მეუღლე მისი ლუბა შვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს რომ ივნისის 18-ს, შაბათს დილის 12-ტ საათზე სოფელ ფარცხნალში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე აბაშიძის

სულის მოსახსენებლად. 1044

ივნისის 18 დილით შაბათს სოფელ ფარცხნალში დილის 12 ტ საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე აბაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ცოლის ძმები გარდაცვალებულისა თედორე ათანასის ძე და მეუღლე მისი ნინა გიორგი ჩიჩუაშვილის ასული შვილებით და ვასილ ათანასის ძე და მეუღლე მისი მარიამ იოსებ კობალავას ასული ბრიტანჩუკიები. 1044

გულდათუთქულნი: ალექსანდრე, არჩილი და ირაკლი ზაალიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, ივნისის 17, დილის 12 საათზედ, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი მეუღლის, ხოლო მეორეების ძვირფასი დედის

თეკლე ანტონის ასულის ზაალიშვილის

სულის მოსახსენებლად. 1045

კბილის ექიმი

აპოლონ ურუშაძე

განაახლა ავადმყოფების მიღება

9—1 ს. და 4—7 ს.

პლეხანოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად სიფილისი (914 ტ 606 სქესობრივი ძილურები, ვენერიული ხუხუნათი და შარდები.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ძ. ლანჩხუთში.

ექიმი

ოლღა ხოშერია

იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს.

კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ბეითალი—ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაურ, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასუქე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 3/, ბინა 2. 38

## ფურცლები

43.

**რუსული იმპერიალიზმი და რუსული სოციალიზმი.**

ჩვენი საზოგადოება ამ ჟამად წარმოადგენს ორად გაყოფილ დიდ ბანაკს. მთლიანი სხეული ქართველობისა გაჰყო რუსეთის პრობლემამ, სწორედ ისე, როგორც მთელი ევროპის სხვაობის და ბრძოლის მიზეზი რუსეთის საკითხია.

სრული დაბნეულობა და ქაოსია ამ შემთხვევაში, ეს გარემოება ინერტულ ყოფაში აგდებს ხალხის მოძრავ ძალას, ქმნის ყალბ ილიუზიებს და მეტად დიდი მავნებას მოაქვს ერისათვის.

რად იწვევს რუსის ძალა ამდენ გაუგებრობას და ბურუსს? მკითხველ საზოგადოებამ იცის, რომ რუსეთის შემოსვლამდე საქართველოში ჩვენში საერთოდ დაღებითი წარმოდგენა არსებობდა რუსეთის რევოლუციაზე. რუსეთი ყველას მიგვაჩნდა რევოლუციის ქვეყნად, სადაც დიდი იდეების და მიზნებისათვის დიდი ჭიდილი იყო საზოგადოებრივს ჯგუფებში.

ჩვენ იმასაც ამბობდით ხშირად, რომ რუსეთი მიისწრაფის ევროპისაკენ, აზიისაკენ, ამერიკისაკენ—იგი ყველგან ებრძვის ანტანტას.

დღეს ყველაფერი დავიწყებულია, რუსეთი სიმბოლოა ბარბაროსობის, ველურობის, შოვინიზმის, რეაქციის, ჩვენი ეროვნული და კულტურული დეკადანსის.

მასში დღეს რუსეთის ირგვლივ მეტად მძიმე ატმოსფერაა შექმნილი. ასი წლის განმავლობაში რუსული ნამდვილი იმპერიალიზმის შედეგად ჩვენ არ გვინახავს ისეთი ანტირუსული განწყობილება, როგორსაც ვამჩნევთ ამ ჟამად.

— გინდათ სახელი მოიხვეჭოთ და ათას გვარ ბიწიერებით შელახული „მე“ აღადგინოთ, დაფნის გვირგვინი დაიწნათ შუბლს?—საკმარისია რუსული ჩექმა ახსენოთ და მილიარდი ხოტბა მიიღოთ.

— ახსენეთ ქართული ჰიმნი, ქართული ენა, საქართველო და მისი მომავალი—თქვენ ქუჩა და თეატრი ერთნაირად სალამს მოგიძღვნის.

ეჰ, რამდენი პატარა კაცი დღეს ამ ეროვნულ გრძნობას ჩასჭიდებია, თავის საქმეებს ამით აკეთებს და შეიძლება თქვენ ქოქოლასაც გაყრიდეს თავზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნული გრძნობის სპეკულიაციას არ ეწევით.

რამდენი ვიგინდარა პარტიულ საქმეს აკეთებს ეროვნული სიმის აჟღარუნებით. გუშინდელი დაუძინებელი მტრები ეროვნული თვით სიტყვის და აზრისა დღეს ამ გრძნობებით ფართო სპეკულიაციას აწარმოებენ, მოხერხებულად, მარდათ, ყოჩაღად.

ამ სპეკულიანტებისათვის გზა დაგვილოცნია. იმუშავეთ, იარსებეთ, აკეთეთ თქვენი საქმე!

ჩვენ მოვლენა ისე უნდა გავიგოთ, როგორც არის, ყოველი ბურუსი და წინა განზრახვა ჩავკლათ მომენტის შეფასებისას. ეროვნული მოღვაწეობად ბევრს გონია ეროვნული ყიჟინა! ეს მხოლოდ ქონდრის კაცის აზროვნებაა, საერთო მასთან არც ერს აქვს, არც ეროვნულ მოღვაწეობას.

რაშია საქმე? რა არის რუსული ძალა?

ამ საკითხის გაშუქებისათვის ყოველ პოლიტიკურ სპეკულიანტს მდიდარი მასალა აქვს. რუსული იმპერიალიზმი, როგორც ისტორიული კატეგორია, ფაქტია, როგორც ყველა ბატონი ერის იმპერიალიზმი.

არის თუ არა სარევოლუციო რუსეთში იმპერიალიზმი?—უეჭველად არის. არსებულ მოვლენის ერთი ხელის დაკვრით მოსპობა შეუძლებელია. იმპერიალიზმის გრძნობა მარტო ჩვენს სურვილებთან არ არის დაკავშირებული. რამდენადაც ღარიბია ქვეყანა, იმდენად ის ცდილობს გამოიყენოს მეორე და სადაც წარმატებითი ენერგია სუსტობს და ვერ აკმაყოფილებს მასსას, იქ ომის პოლიტიკასაც ეძლევა ასპარეზი.

მიუხედავად ამისა რუსეთის თანამედროვე მოძრაობის დამახასიათებელი არ არის იმპერიალიზმი. რუსეთში დღეს დამახასიათებელი რევოლიუციონური მომენტია და არა იმპერიალისტური. ყველამ იცის, რუსეთის ენერგია თავს იჩენს აფრიკაში და ამერიკაში თუმცა რუსეთს ფიქრიც არ შეუძლია აფრიკა-ამერიკის დაპყრობაზე. რუსეთის ძალა საკმაოდ ჩანდება ინგლისის და საფრანგეთის მუშებში, მაგრამ ვინ იტყვის, რომ რუსეთი იპყრობს ინგლისს და საფრანგეთს?!

რუსეთისათვის ამ ჟამად რევოლიუცია სასიცოცხლო საქმეა, ის ეროვნული ინტერესიც არის, კლასობრივიც, მორალურიც ჩვენში მეტად მოქმედობს რუსეთის ძალა. მაგრამ მოტივი, მთავარი ელემენტი რუსეთის შემოსვლისა არის რევოლიუციის ინტერესი. რასაკვირველია ამ შემოსვლას აუარებელი უარყოფითი მხარე აქვს, მაგრამ აქ სპეციფიური რუსული არაფერშია. გაგვეწია ჩვენ წინააღმდეგობა გერმანიის ან ინგლისის ჯარისთვის—მოხდებოდა ჩვენი დაპყრობა, მოხდებოდა მთელი რიგი საშინელება და ევროპიულ იმპერიალიზმის ძალის ქვეშ ჩვენ ვიქნებოდით გაცილებით საშინელ მდგომარეობაში ვიდრე დღეს ვიმყოფებით. ჩვენ მეგობრებად ვთვლიდით ინგლისს, სადღეგრძელოებს ვსვამდით ჰუკკოლისის და მილნის, მაგრამ განა არ ვიცით ის მუხრუჭი, რომელსაც ეს „მეგობრები“ გვიპერდნენ ბათომიდან?

რუსის ძალა ჩვენთვის მძიმეა—უეჭველად. იმიტომ უმთავრესად, რომ თეთრი პური და ნავთი აკლია რუსეთს. საკმაოა მილიონი ფუთი თეთრი პური და 100 მილიონი ალაბი ჩითი—რომ ხალხის ფსიხოლოგიაც შეიცვალოს რუსეთზე. აი ასეთია დღეს პოლიტიკა უმეტესობის!

რასაკვირველია ასეთ მერკანტილიზმით ისტორიულ მოვლენების ახსნა შეუძლებელია, რუსული იმპერიალიზმი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, რომ რუსეთს სარევოლუციო ბრძოლაზე ხელი აეღო ყველგან, როგორც ევროპაში, ისე აზიაში. ეს არა თუ ასე არ მოხდა, პირიქით, რუსეთი დღეს გაცილებით მეტს ხარჯავს რევოლიუციისათვის, ვიდრე ოდესმე ხარჯავდა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ნამდვილი ჩვენი რეაქციონერები ამტკიცებდნენ: რუსეთი თავის „პროვინციებს“ აკრებს, შემოიკრებს და ანტანტას შეურიგდებაო! განა არ გვახსოვს ასეთი აზროვნება? ეს რომ მომხდარიყო—რასაკვირველია ჩვენ ვიქნებოდით რუსული იმპერიალიზმის წინ, მაგრამ ეს აზრა დაც არავის მოსვლია რუსეთის რევოლიუციონერებს.

თანამედროვე ანტანტის დამარცხება შეუძლებელია მარტო რუსეთში რუსული რევოლიუციით. იმიტომ, რომ ანტანტას მჭიდრო კავშირი მარტო რუსეთთან კი არ აქვს, არამედ ევროპა-აზიის ყველა კუთხესთან. ეს ფრონტი—გაშლილი სარევოლიუციო ფრონტია და ჩვენ ამ ფრონტის გულში ვიმყოფებით. ამიტომაა ჩვენ ხან რევოლიუციის ობიექტი ვართ, ხან რეაქციის იმის მიხედვით თუ როგორ იწევა ეს ფრონტი.

რუსეთს საქართველოზე გაჩერება არ შეუძლიან, ვინაიდან რუსეთისათვის დღეს საქართველო, როგორც ასეთი არ არსებობს, ის გზაა, ბაზაა, ხიდია სარევოლიუციო პროცესში და ამ გზაზე ქართველების მაგიერ ბუები ყოფილიყვნენ, ან აზანტის ტომები—სულ ერთია რუსეთს არ შეეძლო აქ არ მოსვლა.

მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი უდაბნო რომ ყოფილიყო, სრული ჯოჯოხეთი—რუსეთის რევოლიუციის სტიქია ამის ადგილას მოითხოვდა—ვინაიდან ამ პოლიტიკის გარეშე რევოლიუციის არსებობა და გამარჯვება შეუძლებელია.

ესე იგი არის ისტორიული პროცესი, ფაქტი, ფატალიზმი. ჩვენ ეს უნდა გავიგოთ, შევურიგდეთ, შევუდგეთ, ჩავერიოთ და ისე ვაწყოთ, რომ ქართველ ხალხს ბრძოლის მდგომარეობა შევუმსუბუქოთ, ავაცილოთ. ეს არის უდიდესი ეროვნული საქმე, დიდი საპასუხო ხალხისა და არა რუსთველის პროპაგანდის ფარგლე და ეროვნულ ჰანგებით სპეკულიაცია.

მეთერთმეტე არმია ხან ერთს ალაგს არის, ხან მეორე ალაგს. ხვალ სხვაგან იქნება, ზეგ კიდევ სხვაგან, იქით, საითაც მას რევოლიუციის ინტერესი გაუძახებს. დამპყრობი იმპერიალიზმი ასე არ მოძრაობს, ის მიზანს ხორც ასხამს, ჩერდება, აკეთებს თავის საქმეს ისტორიულად მკვიდრდება, შემდეგ გადადგამს მორიგ ნაბიჯს. არაფერი ამის მსგავსი არ ხდება დღეს. რუსის რევოლიუციონური ჯარი ყოველ წუთს იქ მიდის, სადაც რევოლიუციის ფრონტი უბრძანებს, არის ეს წილხდომილი ქვეყანა თუ ისეთი ადგილი სადაც ერთხელ ფეხი დაუკრავს ჯარს, მაგრამ შემდეგ არასოდეს მოვა იმავე ალაგას.

ასეთი ხასიათისაა რევოლიუციონური შემოქმედება. მოვესწრებით: გათავდება რევოლიუცია, რევოლიუცია გაიმარჯვებს, მოისპობიან კლასები, დარჩებიან ერები, რუსი რუსეთში წავა, ქართველი საქართველოში, ჩვენს მინდორ ველს ჩვენი ხელები მოეფინება და გაიფურჩქნება საქართველო.

რევოლიუციის შედეგი ასეთია, კაპიტალიზმის კი მონოპა, მონობა და მონობა. ეჰ, რამდენი ნამდვილი მონებია დღესაც ჩვენში!

თედო ღლონტი.

## საქარ. პროფ. კავ. საერთო კონფერენციისათვის

3.

**ეკონომიური მდგომარეობა.**

განსაკუთრებულ ეკონომიურ პირობებში უხდება საქართველოს მუშათა კლასს ცხოვრება. მას გარშემო ალყა არტყია ეკონომიური კედლებისა და არსაიდან ჯერ ხანობით მაინც დახმარებას არ უნდა ველოდეთ; აი სწორედ ეს გარემოება ავალებს საქართველოს მუშათა კლასს ეხლავე მოეწყოს საბრძოლველად ეკონომიურ საშიშროებასთან და რამდენადმე მაინც შეისუსტოს ხვალინდელი დღის ტვირთი, თორემ მდგომარეობა მეტად სერიოზულია; მუშათა კლასს მოკავშირე არა ჰყავს და ერთად ერთი მხრუჩველი თვით მუშათა კლასია; ნუ ვიკვებებით ილუზიებს და სალით შევხედოთ საკითხს, რა გვაქვს და რას მოველით? სამწუხაროდ არა გვაქვს რა და არც არაფერი გვექნება თუ ენერგიულად არ მოვეკიდეთ საქმეს. მთავარი საკითხი სურსათ სანოვაგის მიძარაგებაა; ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა პირდაპირ გამოუვალია; ათოდენა ჯარისა და მუშა-მოსამსახურეთა გამოკვებას ჩვენ ხორბლეული ცხოვრების ქამსაც გაგვიქარდება და მაი ბუნტეს ეხლა; სასურსათო კომიტეტი ვერ შესძლებს დააკმაყოფილოს ათოდენა ხალხი და სიმშილი მოგველის თუ ჩვენ თითონ არ მოვეკიდეთ საქმეს; თუ როდისმე მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კოოპერატივებს და სხვა ეკონომიურ ორგანიზაციებს ეს ეხლა უნდა იყოს. კოოპერატივები უნდა გადაიქცეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების. დიდი რიგად და უნდა მიეცეს მათ ფართო გზა, ფართო მიზნების ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენ ამით არ გვინდა ვსთქვათ, რომ წვრილი მრეწველობა მოსპობილ იქნას ერთი ხელის დაკვრით; დავანგრიოთ ძველი და ახალი კი ვერა გავაკეთოთ რა; კოოპერაცია ჩვენში სამწუხაროდ ვერა სდგას იმ დონეზე, რომ შეიძლოს ეკონომიური ცხოვრების სრული მესვეურობა, მაგრამ თუ აქამდე კოოპერაციას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, დღეს მთელი ჩვენი ყურადღება იქით უნდა მივაპყროთ რომ ეკონომიური ცხოვრების მეთაურობა ბატონობა საბოლოოდ ჩამოვაშოროთ

კერძო მრეწველობას და გადავცეთ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც მეტ დახმარებას გაუწევს მატერიალურად მუშათა კლასს და ამასთანავე მოამზადებს სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭირო კადრს მშრომელი მასისას: ეს არის ერთად ერთი იარაღი იმ სპეკულიაციის წინააღმდეგ, რომელმაც ჩაადრჩო მთელი კაცობრიობა და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა.

თუ რა სახისა უნდა იყვეს კოოპერატივები ეს ყველა სოციალისტისათვის ცხადი უნდა იყვეს და ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, აღვნიშნავთ მხოლოდ კოოპერაციის გაფართოების საჭიროებას, ურომლისოდ მუშათა კლასი დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის დროს ვერ იარსებებს, რადგან საშვალება არა აქვს გაუძლოს ბაზარზე ფასების თამაშს და სპეკულიატურ დაწესებულებათა თუ კერძო ვაჭართა თავნებობას. უნდა გაძლიერებული იქმნას საზოგადოებრივი ეკონომიური დაწესებულებები, რომ სპეკულიაციას ლაგამი ამოსდოს და ცხოვრების პირობები გააუმჯობესოს საერთოდ და კერძოდ მუშათა კლასისათვის. მაგრამ ეს პროცესი კოოპერაციის და საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა შესაძლებელია გაჭიანურდეს, ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში დიდ შედეგებს ვერ მიაღწევს და მუშებისათვის დახმარების გაღებაც კი შეუძლებელია, რადგან კუჭი არ იცდის. საკითხი მწვავედ სდგას და საჭიროა ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრა. სურსათ-სანოვაგე რაც დღეს ეძლევა მუშებს, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს. 3/4 გირვანქა პური, რომ იმუშაოს სახელმწიფოსაგან მიიღოს ერთი გირვანქა მაინც უნდა იყიდოს ბაზარზე, თუ მუშის ოჯახს განვსაზღვრავთ საშუალოდ ორი სულით ორი გირვანქა მაინც უნდა იყიდოს და საიდგან რომელი წყაროებიდან? სახამ კიდევ შერჩათ გასაყიდი რამ გაიტანენ, გაყიდიან, მაგრამ როცა გასაყიდი გამოილევა რაღა უნდა ქნას? ეს არ არის სააგიტაციო მასალა, ეს არ არის სადემაგოგიოდ გამოგონილი ზღაპარი; სამწუხაროდ ეს ფაქტია და თუ ჩვენ აქ ამაზე გვიხდება ლაპარაკი, მხოლოდ იმიტომ, რომ გვითვალისწინოთ ჩვენი მომავალი მდგომარეობა, რომელშიაც ჩავცვივდებით, თუ დროზე არ მივიღეთ სათანადო ზომები. ცხოვრება თან და თან ძვირდება, მუშის მდგომარეობაც უარესდება და საშვალება არა აქვს რაიმე მოიმარაგოს შავი დღისათვის მაინც. და სწორედ აქ მოითხოვს საქმე პრაქტიკულ ნაბიჯს, პრაქტიკულად გადაჭრას. ერთად ერთი საშვალება, რაიც შესაძლებელია მუშის გული დაამშვიდოს, ეს არის მუშის უზრუნველყოფა სახვალიოდ. ამ მხრივ საჭიროა ორ ფრონტზე ბრძოლა: ერთის მხრივ სასურსათო კომისარიატი უნდა ამოძრავდეს სურსათ-სანოვაგის შომარაგებისათვის, მეორეს მხრივ უნდა მიეცეს საშვალება მუშათა ორგანიზაციებს თავისთვის შეიძინონ საჭირო სურსათი პროვინციებში და დროებით მაინც უზრუნველყონ თავისი ოჯახი.

ალ. დიდებულიძე.

## ჰ ს დ ა ვ!

ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც ჯერ კიდევ თუ შერჩენია ქართველური სახე, რომელსაც გულში კიდევ თუ უღვივის ნაპერწკალი სამშობლოს სიყვარულისა, უნდა უმადლოდეს ერთ გაზეთს, რომელიც იცავს ქართულ სულს და მედგრად იბრძვის რომ საქართველომ თავისი ეროვნული სახე არ დაჰკარგოს.

ამ გზას დაადგა „სოციალისტ-ფედერალისტი" და ჩვენ გვწამს რომ იგი გაჰყვება ბოლომდის. მორიგ მოთხოვნილებით, ქართველი საზოგადოების სახით, ამ ორგანომ წამოაყენა ქართველ ტყვეების რიაზანიდან და სხვა გუბერნიებიდან დაბრუნება.

არავითარი დაპირება, არავითარი დეპეშები და მელნით დაწერილი სასწრაფო ზომები, არ გასჭრის აქ საჭიროა ენერგიული მუშაობა, სიტყვით და საქმით. დაუბრუნეთ სამშობლოს თავისი შვილები, და ოჯახებს თავისი წევრები!

განა იცის ქართველმა საზოგადოებამ და თვით იმ მაღალმა წრეებმა თუ რა აუწერელ მდგომარეობაში იმყოფებიან მათი ოჯახები, ზოგს ძუძუ-მწოვარა ბავშვები დარჩათ სახლში ღ წარმოსადგენია თუ რა პირობებში უნდა ალიზარდონ ისინი. ბავშვებს ხომ მოვლა უნდათ, ეს ხომ საბჭოთა მთავრობის უმთავრესი ლოზუნგია.

„სოციალისტ-ფედერალისტი" შეუდგა ამ საქმეს და ამ ორგანოში რამდენიმე წერილი უკვე დაიბეჭდა მათ შესახებ. კიდევ ერთხელ: ქართველი ტყვეები საქართველოში!

ზოგიერთა პირები მთავრობის წრეებიდან აღიარებენ რომ ისინი შეცდომით იყვნენ გაგზავნილნი.

ეს შეცდომა თვითონვე უნდა გაასწორონ: და როგორც ნათქვამია: „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს", დააბრუნონ უდანაშაულოდ დასჯილნი თავის სამშობლოში. უკვე მეოთხე თვე სრულდება რაც ისინი იტანჯებიან რუსეთის ცივ გუბერნიაში საქართველოს მინდორ ველთ მოშორებულნი. რად უნდა იტანჯებოდნენ ისინი იქ?

ქართველი ოფიცრობა და იქ მყოფი დამფუძნებელი კრების წევრი საჩქაროდ, საგანგებო პირის გაგზავნით უნდა ჩამოიყვანონ საქართველოს. საბჭოთა მთავრობა „სასწრაფო ზომებს" მიიღებს სასწრაფო საქმით. ველით და ვიმედოვნებთ რომ ეს, როგორც აქამდი იყო ცარიელ სიტყვად არ დარჩება, თუმცა კი უნდა ითქვას, იქნებ რამემ „შეუშალათ" ხელი, რომელიმე პიროვნებამ, მაგრამ გვწამს რომ ჩვენი ქართული „კომუნისტური" მთავრობა ამოიღებს ხმას და ენერგიულ მუშაობას დაიწყებს რათა ისინი საჩქაროდ იქნენ დაბრუნებულნი საქართველოში.

გ. კოჩია.

## კიდევ განმარტება

„მშრომელთა ხმა"-ში კიდევ გამოდის ჩვენს წინააღმდეგ ყოფილი მთავარი კომიტეტი სოც.-ფ. პარტიისა.

მადლობა ღმერთს, რომ არაფერს ამბობენ კონფერენციის უკანონობაზე, რაზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი. ეტყობათ, უკანონო გზითაც სურთ კანონიერებაზე და წესიერებაზე ლაპარაკი.

ყ. მ. კ. სურს მაინცა და მაინც გვათქმევინოს, რომ სადამოს განცხადებით ჩვენ პარტიიდან გავედით. არ ყოფილა ასე. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით რევოლიუციის გაგების ნიადაგზე და ამხანაგურადაც, ჩვენი ერთად მუშაობა შეუძლებელი იყო. ეს ყველამ ვიცოდით, არა ერთხელ გვითქვამს ერთმანეთისათვის. მაგრამ პარტიიდან გასვლაზე კრინტიც არ დაგვიძრავს. პირიქით, მე განვაცხადე: ვრჩებით სოციალიზმ-ფედერალიზმის ნიადაგზე, გტოვებთ თქვენ, ხოლო რა ნაბიჯებს გადავდგამთ—გაიგებთ ხვალ-ზეგ.

ასე იყო მხოლოდ. მცირე შენიშვნა. ყ. მთ. კომიტეტი, როგორც სჩანს, ძალიან გარკვევით მუშაობდა. პრეზიდიუმში მდივანიც აღარ დაგვიტოვა, თავმჯდომარის ამხანაგიც, ხოლო სამანდატო კომისიაშიაც ამოგლიჯა ჩვენი წაყენებული პირველი კანდიდატი. ყოველივე ეს იმიტომ ხომ არ იყო ჩადენილი, რომ ოქმები და მოხსენებანი სასურველად მოგვარებულიყო?

ცუდია ეს გზა.

თედო ღლონტი.

## დავიწყებული საკითხი

დღევანდელი საერთაშორისო ძალთა განწყობილება და კერძოდ საქართველოს მდგომარეობის ძირეული შეცვლა, ისეთ ფსიხოლოგიურ ატმოსფერას ქმნის, რომ ადამიანს ავიწყდება შედარებით პატარა საკითხები, რომლის ასე თუ ისე გადაჭრა დიდმნიშვნელოვანია ერისათვის. ბუნებრივიც არის ასეთი მდგომარეობა, რადგან დღეს მეტად დიდ საკითხთა გადაწყვეტის წინაშე ვდგევართ და მისკენ არის მიქცეული მთელი ჩვენი ყურადღება. მაგრამ არის ისეთი საკითხებიც, რომელნიც არ ითმენენ გადადებას და ეხლავ საჭიროებენ დიდ ყურადღებას და მოწესრიგებას. ერთი ასეთი საკითხთაგანი დღეს არის ქარ. უნივერსიტეტი და სტუდენტობა. ამ საკითხის შესახებ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგმულია, სახელდობ. ქარ. უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად დატოვება, მაგრამ მარტო ფულებრივი მხრის უზრუნველყოფით, დღევანდელ ეკონომიურ პირობებში, ცხადია არსებითად ვერ შეიცვლება საქმის მდგომარეობა.

ყველასათვის, ვინც კი თვალყურს ადევნებს ჩვენ უნივერსიტეტს აშკარაა, რომ იგი დღეს ფაქტიურათ არც კი არსებობს. ვისთვისაც არის უნივერსიტეტის დანიშნულება, სტუდენტობა. დღეს გადახვეწილია ტფილისიდგან და დანარჩენი კი, ვისაც საშვალება არა აქვს ტფილისიდგან გაქცევის, სხვა და სხვა დაწესებულებებში არის შეხიზნული, სადაც დილის 8 დგან, ნაშუადღევის 3 მდე მუშაობს და შემდეგ თავისი ნახევარი გირვანქა პურით, სასადილოებისაკენ მიეშურება და იქ კიდევ რამდენიმე საათის დაკარგვა უხდება ასე გადის დღეები, კვირა კვირას მისდევს და თავისი პირდაპირი დანიშნულება კი შეუსრულებლად და მიუღწევლად რჩება.

ერთი სიტყვით, ბევრი ლაპარაკი კი არ არის საჭირო სტუდენტთა მდგომარეობის დასახასიათებლად, რადგან თვით ფაქტიური მდგომარეობა ქმნის საკმაო სურათს სტუდენტთა მდგომარეობისას. ამ საკითხზედ, ყოფილ მთავრობის დროსაც ბევრი იწერებოდა, მაგრამ სიტყვა სიტყვათ რჩებოდა და საქმეს კი არავითარი წარმატება არ მიეცემია.

დღეს კი, მით უფრო უარესია მდგომარეობა, რაც უფრო რთულია და ძნელი ცხოვრების პირობები. სტუდენტობა არა თუ მარტო თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, არამედ მათგან იქმნება ერთგვარი ფსიხოლოგიური ტიპი, რომელიც ვერც მოხელის მაგიდით კმაყოფილდება და ვერ ურიგდება თავის მდგომარეობას და ვერც თავისი ვრახვანი განუხორციელებია. აქედან კი იქმნება კაცი არა სპეციალისტ მოხელეთა რომლებიც თავის მოვალეობასაც გულგრილად უყურებს და მომავალშიაც ვერავითარ ნაყოფს ვერ მისცემს საზოგადოებას.

სასწავლო წელი კიდეც სრულდება და მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი თუ აბარებს გამოცდებს. ლექციებზე კი, იქ სადაც წინეთ 200 კაცის მაგიერად 50 მაინც ნახავდით, ამ წლის დასასრულს 4—5 მსმენელამდე დავიდა.

ამას გარდა, დღეს ტფილისის ქუჩებზე შეხვდებით ახალგაზრდებს, საშუალო სასწავლებელ დამთავრებულებს, რომელიც სხვა და სხვა პროვინციებიდან მოეშურებიან და სამსახურს დაეძებენ, რომ ვითომც ამით საშუალება მიეცეს მათ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძობისა. მაგრამ ყველას ბედი არ გაუღიმებს და უმრავლესობა ისევ პროვინციებში დარჩება და იქ უნაყოფოდ დაჰქნება საუკეთესო წლები ცოდნის შეძენისა.

დღეს დღეობით, სტუდენტობას ეკონომიური მხრით ორი საშვალება აქვს: ერთი კოოპერატივი „ჩვენი ოჯახი" და მეორე სასადილო, რომელნიც საგრძნობ დახმარებას ვერ აწევდის და ვერც მიაწევდის სტუდენტთა დიდ უმრავლესობას.

რამდენათაც ვიცით, საბჭოთა რუსეთში სწავლა-აღზრდის საქმე შედარებით კარგ პირობებშია და ვფიქრობთ, რომ ამ მხრით, რომ მივბაძოთ საბჭოთა რუსეთს ცუდი არ იქნება.

ყოველი სახელმწიფო, როგორი ფორმითაც არ უნდა არსებობდეს იგი, ორ მთავარ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ერთი მხრით მან უნდა შესძლოს ეკონომიური უზრუნველყოფა ქვეყნის და მეორე მხრით მისი კულტურული აღორძინება.

დღეს ჩვენი მომავლის იმედი განსაცდელშია. საჭიროა მეტი ყურადღება და მეტი დახმარება.

ხერ. ამაღლობელი.

## ახალი ამბები

— **მწერალთა კავშირში.** დღეს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა კავშირში ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მუშის გვროლდი უოტ უიტმანი". დასწრება ყველას შეუძლიან.

— კვირას, ივნისის 19-ს, (არტისტიულ საზოგადოების) ქართულ დრამის საკონცერტო დარბაზში, დილის 11 საათზე, ხელოვნების განყოფილებასთან არსებული სალიტერატურო განათლების სექცია გახსნის კურსებს მუშებისათვის. ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ სიტყვებს წარმოსთქვამენ:

სალიტერ. განყოფ. გამგე აკაკი პაპავა, ლიტ. განათ. სექციის გამგე ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი,

სომხური სექციის გამგე ამხ. ოვანეს თუმანიანი.

რუსული სექციის გამგე ამხ. სერგი რაფალოვიჩი.

შესვლა ყველასთვის უფასოა.

## რადიო

**ლატვიელთა თავდაცვის რაზმის მუშაობა.**

**მოსკოვი.** ლატვიის ტერიტორიაზე გავლის დროს რიგაში დატუსაღებულ იქნა კლარა ცეტკინი. დატუსაღებული განთავისუფლებულია.

**ფრანგები ინგლის-რუსეთის შეთანხმებით არ არიან კმაყოფილნი.**

**ნაუენი.** ბრიანმა გაუგზავნა პარიზში არსებულ ბრიტანეთის საელჩოს პროტესტი რუსეთ-ინგლისის სავაჭრო შეთანხმების ზოგიერთ მუხლების წინააღმდეგ; კერძოდ საფრანგეთის მინისტრი პროტესტს აცხადებს მე-9-რე მუხლის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც ბოლშევიკებს ინგლისში ფულისა და ძვირფას ქაღალდების შეტანა შეუძლიათ.

**ამერიკის დამხმარე კომიტეტი ახლო აღმოსავლეთში.**

კომიტეტის სახელზე მოვიდა 27 ვაგონი, სურსათი, რომელთაგან 25 ვაგონი გაიგზავნება ალექსანდროპოლში. ბათომიდან მოსულ ცნობებით ამ დღეებში ტფილისში გამოიგზავნება კიდევ 2 მატარებელი სურსათი ფქვილი, ლობიო და სხვ. მაქ. იპოლიტ წავიდა კონსტანტინოპოლში მთავარ კომიტეტთან მოსალაპარაკებლად სურსათის განაწილებისა და სხვა საკითხების შესახებ.

**ეშინიათ.**

**პეტროგრადი.** პოლონეთის მთავრობამ აკრძალა პოლონეთში „ჰუმანიტე"ს და „დეილ-ჰერალდის" გავრცელება.

**კომუნისტების დახმარებისათვის.**

**პეტროგრადი.** ჰამბურგში გაასამართლეს მეზღვაურები მათ ბრალდებოდა წარსულ წლის აპრილში გემი „შრეიდერით" კომუნისტ იუნგის წაყვანა მურმანში, საიდანაც ის მიემგზავრებოდა მოსკოვში კომინტერნის კონგრესზე დასასწრებად. ერთ-ერთ ბრალდებულს მიუსაჯეს 5 წლით გამასწორებელ ციხეში დატუსაღება.

**ბურჟუაზიულ დიპლომატთა უძლურება.**

**პეტროგრადი.** დეპუტატთა პალატაში კამენმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ზემო სილეზიის შესახებ. მან ნათელ-ჰყო ბურჟუაზიულ დიპლომატთა უძლურება ევროპისათვის მტკიცე ზავის მინაშების საქმეში.

**გადამწყვეტ ბრძოლის წინ.**

**ბათომი.** სტამბოლის გაზ. „ილდავორიდი ძაინ" იუწყება რომ ოსმალეთის სარდლობამ კილიკიიდან თავის რეგულიარული ჯარი გადაიყვანა საბერძნეთის ფრონტზე. ქემალისტების მთავრობამ გამოაცხადა 45 წლამდე მობილიზაცია.

**საფრანგეთისა და ანგორის ხელშეკრულობა კილიკიის შესახებ.**

**ბათომი.** „პრეს დიუ სუარ"-ის ცნობით, ანგორის მთავრობამ მიმართა საფრანგეთის მთავრობას წინადადებით შეიტანოს შემდეგი ცვლილება ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო ბექირ-სამი-ბეისთან" 1. საზღვრების ასეთი შეცვლა რომლის დროს ოსმალეთის სამფლობელო 25 კილომეტრით იქნება დაშორებული ალექსანდრეტიდან და 50 კილომეტრით ალეპოს. 2. ეკონომიური წესების შეცვლა, რომელიც გათვალისწინებული იყო ლონდონის თათბირის მ ერ. 3. ტყვეების გაცვლა უნდა მოხდეს კილიკიის ევაკუაციის შემდეგ. 4. საფრანგეთმა უნდა მხარი დაუჭიროს მოკავშირეთა წინაშე ოსმალეთის მოთხოვნებს როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს.

**დეპუტატ [illegible] მოკვლა.**

**ლიონი.** [illegible] მოკლა ცნობილი დამოუკიდებელი სოციალისტი დეპუტატი გარრისი. გარრისს 4 ტყვია ესროლეს. გაზეთები ამტკიცებენ, რომ მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა, ვინაიდან გარრისი უკანასკნელ ხანში ოპოზიციაში უდგა კარას მთავრობას.

## სოფლის ადმინისტრაცია.

ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ერთი ფრიად მავნე და სახიფათო მოვლენა იკიდებს ფეხს სახელდობრ: სოფლის ადმინისტრაცია ხშირად არღვევს ცენტრის, უმაღლესი მთავრობის განკარგულებებსა და დეკრეტებს. ეს გარემოება იწვევს არევ-დარევას და ვნებს მთავრობის ავტორიტეტს. ამისათვის ასეთ მოვლენებს ყურადღება უნდა მიექცეს, ვისიც ჯერ არის.

ამა წლის 22 აპრილის თარიღით გამოიცა უმაღლესი მთავრობის მიერ დეკრეტი № 9, რომლითაც ნება დართულია რესპუბლიკაში ღვინით თავისუფალი ვაჭრობა. ამა წლის 5 მაისს გავყიდე საკუთარი მეურნეობის ღვინო—თეთრი ვედრო. 7 მაისს დამატუსაღა კავთის ხევის რევკომმა: საბუთი: გორის სამაზრო რევკომის მიერ დადგენილი ნიხრით ვედრო ღვინო უნდა გაიყიდოს 14,400 მ. მაშინ, როდესაც ერთ-ვნული სარდაფიდან ვედრო ღვინო იყიდებოდა 28,800 მ. ამის გამო კავთის ხევის რევკომს მოვახსენე, რომ გორის სამაზრო რევკომის დადგენილება, როგორც ზემოაღნიშნული დეკრეტის დამრღვევი, ჩემთვის სავალდებულო არ არის, რაზეც რევკომმა მიპასუხა: „შენ ბოლშევიკურ მთავრობის კანონებს არ ემორჩილები და ამიტომ გატუსაღებთო" და მართლაც ორი დღე-ღამე გამატარებინეს კარცერში.

ამის შემდეგ კავთის ხევის მილიციის უფროს შეუდგენია ოქმი, რომ მე მთავრობის წინააღმდეგი ვარ, რასაც ადასტურებენ ოთხ მოწმეს: ორ მილიციელსა და ორ კერძო პირს. ამ ოქმის შესახებ ჩემთვის სრულიად არაფერი უცნობებიათ. ოქმისთვის რევკომის თავმჯდომარეს თავის ქაღალდიც მიუკერებია, რომ მე გორის სამაზრო რევკომის დადგენილება დავარღვიე და გადაუგზავნია სამაზრო მილიციის უფროსისათვის, რომელსაც დაუდგენია ჩემი დატუსაღება ერთი კვირით. ამ საქმემ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრამდეც მიაღწია, რომელმაც გასცა ბრძანება ჩემი ციხიდან განთავისუფლებისა და საქმის გამოძიების შესახებ. ციხიდან ჯერ-ჯერობით თავისუფალი ვარ, მაგრამ საქმის გამოძიებისათვის—თუ რამდენად ვეწინააღმდეგები მთავრობას—ჯერ ყურსაც არ იბერტყს ვინმე. კავთისხევის რევკომის თავმჯდომარე კი, გარსევან ქსოვრელიანცი, ჩემით მეცუქრება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე პირადად მე მეხება, კავთის ხევის რევკომი მას აწარმოებს სრულიად ჩემ დაუკითხავად, ისე, თითქოს მე ვიყო არა სრულუფლებიანი მოქალაქე, არამედ რამე ნივთი, რომლითაც მას, რევკომს, შეუძლია განაგოს თავის სურვილისამებრ.

რით არის გამოწვეული ყველაფერი ეს? წელს, სამდლ-გომოდ, კავთისხევის რევკომმა თავის მოსამსახურეთათვის მომთხოვა ხურმის ფასში 25 ვედრო ღვინო. მე არ მივეცი. სწორედ აქედან დაიწყო ჩემს წინააღმდეგ რევკომმა ეს „პოლიტიკური საქმე" და აგერ თვეზე მეტია. რაც არ მასვენებენ, დროს მაკარგვინებენ, მუშაობას მაცდენენ, რაც ჩემს პატარა კერძო მეურნეობას საფრთხეს უქადებს.

გიორგი ჩიკაძე.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემელი სოც.-ფედ. მთავარი კომიტეტი.